

**სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსებით დასაშვები სპეცტექნიკის ჩამონათვალი**

**1. ენერგეტიკული საშუალებები:**

ა) **ტრაქტორები**, რომელთა ნომინალური სიმძლავრის რეკომენდირებული დიაპაზონი სანერგის ფართობის და მექანიზებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით ასეთია - 15 – 60 ცხენისძალა (11 – 44 კვტ), 4X4, ან 4X2 წამყვანი თვლებით, იმისათვის რომ შესრულდეს სანერგეში შემდეგი მექანიზებული სამუშაოები: ხვნა ერთ, ორ, ან სამ კორპუსიანი გუთნით, ნიადაგის გაფხვიერება ფრეზით, ნერგების შეწამლვა, მულჩირება, ბალახების თიბვა, ნერგის დარგვა, ნერგის ამოღება, ბაზოების წარმოქმნა, ნერგებზე და საძირებზე მიწის შემოყრა და ტვირთზიდვის ოპერაციები;

ბ) **მოტობლოკები და მოტოკულტივატორები**, რომელთა ნომინალური სიმძლავრის რეკომენდირებული დიაპაზონი ასეთია - 4 – 15 ცხენისძალა (3 – 11 კვტ), რათა შესრულდეს შემდეგი სახის მექანიზებული სამუშაოები: ხვნა ერთ კორპუსიანი გუთნით, ნიადაგის გაფხვიერება მოტობლოკური ფრეზით, ნერგების შეწამლვა მოტობლოკური საწამლი მანქანით, მულჩირება მოტობლოკური მულჩატორით, ბალახების თიბვა მოტობლოკური სათიბელათი, ბაზოების წარმოქმნა მოტობლოკური ბაზოწარმომქმნელით და ტვირთზიდვის ოპერაციები.

**2. სასოფლო-სამეურნეო მანქანები:**

ა) ერთ, ორ, ან სამ კორპუსიანი გუთნები;

ბ) დისკოებიანი ან თათებიანი ფარცხები;

გ) ნიადაგის გამაფხვირებელი ფრეზები ვერტიკალური ან ჰორიზონტალური 0,4 - 2,0 მ მოდების განით;

დ) შესაწამლი მანქანები, საკიდი, 20 – 400 ლიტ ავზის ტევადობით;

ე) მულჩირების ტექნოლოგიური მანქანები 0,7 – 1,9 მ მოდების განით;

ვ) სათიბელები 0,7 – 1,7 მ მოდების განით;

ზ) ნერგების სარგავი ტექნოლოგიური მანქანები;

თ) ნერგის ამომღები ტექნოლოგიური მანქანები;

ი) ბაზოების წარმომქმნელი მანქანები;

კ) ნერგებზე და საძირებზე მიწის შემომყრელი მანქანები;

ლ) სატრანსპორტო ლაფეტები საერთო დანიშნულების 250 – 3000 კგ ტვირთამწეობის.

### **3. ხელსაწყოები და მოწყობილობები:**

- ა) მენობის და პინცირების ხელსაწყოები;
- ბ) სექატორები.